



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 24 იანვარი, 2017 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის
ოფისი (ყოფილი ევროპის სახლი)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
3. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
4. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯო- რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
5. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
6. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
7. მარიამ ოზაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
8. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადების: „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ რუსულ სახელმწიფო კომპანია „გაზპრომ ექსპორტთან“ მოლაპარაკებების შედეგების შესახებ“ გავრცელების შემდგომი პროცესების განხილვა;
- ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარის მიერ მომზადებული განცხადების განხილვა;
- წესდებასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საკოორდინაციო საბჭომ განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადების: „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ რუსულ სახელმწიფო კომპანია გაზპრომ ექსპორტთან მოლაპარაკებების შედეგების შესახებ“ გავრცელების შემდგომი პროცესები. პლატფორმის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა ენერგეტიკის მინისტრთან გამართული შეხვედრის დეტალების შესახებ და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პლატფორმის მიერ გავრცელებული განცხადების მნიშვნელობასა და საჭიროებას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საბჭომ მოისმინა მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის წარმომადგენლის მოხსენება ენერგეტიკის სექტორში საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ.

საბჭომ განიხილა პლატფორმის განცხადების გავრცელების შემდგომი პროცესები. კერძოდ, პლატფორმის წევრი ორგანიზაციის „კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“ ხელმძღვანელის ინტერნეტ გამოცემაში გამოქვეყნებული განცხადება¹, რომ მიუხედავად იმისა, რომ განცხადების ხელმომწერებში მისი ორგანიზაციაც ფიგურირებს, მას ამ მოთხოვნისთვის ხელი არ მოუწერია.

მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმის თავმჯდომარემ, სამდივნოსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულის შესახებ, განმარტება გაავრცელა პლატფორმის სამუშაო Google ჯგუფში, შეხვედრაზე სამდივნომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ იგი ესაუბრა ორგანიზაციის „კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“ წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული ორგანიზაციის განცხადებაზე მხარდაჭერა.

¹ორგანიზაციის „კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“ ხელმძღვანელის განცხადება <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/415104-thamar-kiknadze-gazpromthan-khelshekrulebaze-grifis-mokhsnis-mothkhovnith-gavrcelebul-dokumentze-chemi-kheltotserac-figurirebs-thumca-kheli-ar-momitseria.html?ar=A>

საბჭომ მიიჩნია, რომ ქალბატონი კიკნაძის განცხადება უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას - გაუფრთხილდეს ეროვნული პლატფორმის ღირსებას, ასევე ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების 9.4 მუხლის, „დ“ პუნქტზე დაყრდნობით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სარეკომენდაციო წერილით მიმართოს ქალბატონ კიკნაძეს და მოსთხოვოს დარღვევის გონივრულ ვადაში აღმოფხვრა - საჯაროდ განაცხადოს მისი შეცდომის შესახებ და გამოასწოროს უზუსტობა. წინააღმდეგ შეთხვევაში, საბჭო გამოიყენებს მასზედ მინიჭებულ უფლებას და შეუჩერებს წევრს უფლებამოსილებას, ამასთანავე მიმართავს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებას წევრის გარიცხვის რეკომენდაციით.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარის მიერ მომზადებული განცხადების შინაარსი.² საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. რამდენადაც პლატფორმის წევრმა ორგანიზაციამ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ოფიციალურად, წერილობით მიმართა ენერგეტიკის სამინისტროს და მოითხოვა 2016 წლის 31 დეკემბერს ვადაგასული, გაზპრომთან გაფორმებული, ხელშეკრულების ასლი და ახალი შეთანხმების დოკუმენტის წერილობით წარდგენა და ამასთანავე, პლატფორმის განცხადების მთავარი მოთხოვნა გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა გახლდათ, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ყურადღებით დააკვირდეს აღნიშნული პროცესის განვითარებას და მთავრობის პასუხის შემდგომ, შესაბამისად იმოქმედოს.

გარდა ამისა, საბჭომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობის შემდეგ არის შესაძლებელი შემდგომ ნაბიჯებზე მსჯელობა, მათ შორის, ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარის მიერ მომზადებული განცხადების დეტალური განხილვა. ამ ეტაპზე, სანამ სრული ინფორმაცია პლატფორმისთვის არ იქნება ცნობილი, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, არ მოხდეს სიტუაციის გამწვავების პროვოცირება.

პლატფორმის თავმჯდომარემ სამდივნოს დაავალა, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდეს განცხადების ინიციატორის ინფორმირება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა

² აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარემ შეიმუშავა განცხადების ტექსტი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც განსახილველად გამოეგზავნა საკოორდინაციო საბჭოს.